შპს „მაქსი სტუდიო“

ქ. თბილისი, ტოლსტოის ქ. №19, ტელ. 95-16-00

10 აგვისტო 2011წ №146

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ლესელიძის ქ. №15-ში არსებული მიწისქვეშა ავტოფარეხის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე ძირითადი შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

ობიექტი წარმოადგენს სამსართულიან შენობას, სარდაფის სართულით, ჩაბარებულია ექსპლოატაციაში 1986 წელს, მაქსიმალური ზომებით გეგმაში დაახლოებით 30.00X40.00მ. სართულის სიმაღლით h=3.00მ. შენობის ძალოვან კონსტრუქციას წარმოადგენს მონ. რკ.ბ. კარკასი, სართულშუა გადახურვა – ანაკრები რკ.ბ. ღრუტანიანი გადახურვის ფილები ე.წ. “სინკარები”, საძირკველი – მონ. რკ.ბ. საძირკვლის ფილა, სახურავი – ბრტყელი, რუბეროიდი ბიტუმის მასტიკაზე.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ აღნიშნული შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, კედლების ნაწილში არ აღინიშნება ბზარები, ჩამოშლები და დეფორმაციები. მაგრამ ცალკე საკითხია პროექტით გათვალისწინებული სადემონტაჟო ნაწილი (მაქსიმალური ზომებით გეგმაში 9.60X7.00მ), რომელიც მიშენებულია ძირითად შენობაზე ლენტური საძირკვლების გამოყენებით და საძირკვლების სხვადასხვა მუშაობის პირობებიდან გამომდინარე ძირითად შენობასა და მიშენებულ ნაწილს შორის შეიმჩნევა 3სმ. სისქის ბზარი.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე ექსპერტი იძლევა დადებით რეკომენდაციას სადემონტაჟო ნაწილის დაშლასთან დაკავშირებით. აღნიშნულ კონსტრუქციულ ღონისძიებებს არ ექნება უარყოფითი ზეგავლენა შენობის საერთო მდგომარეობაზე (შენობის სადემონტაჟო ნაწილი არ წარმოადგენს ძირითადი შენობის ნაწილს).

სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

ექსპერტი:

ინჟ. კონსტრუქტორი: / მ. მექვაბიშვილი/

საქართველო, შპს სტუდიო "MAXI STUDIO" 204556211 "MAXI STUDIO" GEORGIA